განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

## შპს თბილისის თავისუფალი აკადემია

21 დეკემბერი, 2021

თბილისი
2021

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს თბილისის თავისუფალი აკადემია |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204876991 |
| დაწესებულების სახე | კოლეჯი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ფსიქოლოგია |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ფსიქოლოგიის ბაკალავრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0313 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით(ნომერი, თარიღი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლელა ხეჩუაშვილი - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნანა ბურდული - საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამთა ცხოვრებაძე - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლანა ბოვუჩავა - ნიუვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო |

## სარჩევი


აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა ........ 4

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ........ 7
   - 1.1. პროგრამის მიზნები ........ 7
   - 1.2. პროგრამის სწავლის შედეგები ........ 8

1) სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ........ 9
   - 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ........ 9
   - 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ........ 10
   - 2.3. სასწავლო კურსი ........ 12
   - 2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება ........ 14
   - 2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები ........ 16
   - 2.6. სტუდენტების შეფასება ........ 16

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა ........ 17
   - 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება ........ 18
   - 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა ........ 18

2) სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ........ 19
   - 4.1. ადამიანური რესურსი ........ 19
   - 4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება ........ 21
   - 4.3. მატერიალური რესურსი ........ 22
   - 4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა ........ 24

3) სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები ........ 25
   - 5.1. შიდა ხარისხის შეფასება ........ 25
   - 5.2. გარე ხარისხის შეფასება ........ 26
   - 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ........ 27

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა ........ 28

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლოპროგრამის შესახებ**

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის მიზანია კვალიფიციური, თეორიული ცოდნით პრაქტიკული უნარებით და პროფესიული ღირებულებებით აღჭურვილი, პროფესიულ განვითარებასა და წინსვლაზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.

ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შეთავაზებული კურსები მრავალფეროვანია და ფოკუსირებულია ფილოლოგიის მეცნიერებაში მულტიდისციპლინარული ცოდნის გამოყენებაზე. მისი მიზნების (1) მოამზადოს დასაქმების ბაზრის შესაბამისი, მაღალკვალიფიციური, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის სპეციალისტი, რომელსაც (2) მისცემს ფართო ცოდნას ფილოლოგიის სფეროში დარგობრივი ტენდენციების, მიმდინარეობებისა და თანამედროვე კონცეფციების შესახებ; (3) განუვითარებს თეორიული ცოდნის პრაქტიკულსაქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარსა და ჩამოუყალიბოს პროფესიული საქმიანობისათვის შესაბამისი დონის პასუხისმგებლობას ეთიკური პრინციპების დაცვით ასევე, (4) გამოუმუშავებს განათლების პირველი საფეხურისათვის შესაბამის კვლევით და განზოგადებულსხვას უნარებს, რითაც შეუქმნის მყარსაფუძველს ზედა საფეხურის პროგრამების დასაუფლებლად

ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. შესაბამისად საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს, 8 სემესტრს. 240 კრედიტიანი პროგრამა აგებულია შემდეგი კომპონენტებით (ა) საუნივერსიტეტო სავალდებულო თავისუფალი სასწავლო კურსები (50 კრედიტი), (ბ) ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (130 კრედიტი, მათ შორის, 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომისა და 10 კრედიტი პროფესიული პრაქტიკისთვის), (გ) ძირითადი სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები (30-60 კრედიტი) და (დ) თავისუფალი არჩევითი სასწავლოკურსები (0-30 კრედიტი).

აღნიშნული სტრუქტურა, როგორც მასში შემავალი კომპონენტების, ისე კურსებისა და კრედიტების გადანაწილების თვალსაზრისით ფაქტობრივად შეესაბამება და აკმაყოფილებს მინისტრის ბრძანების (N69/ნ) მოთხოვნებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ქვეყანაში კორონავირუსის გამო გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ „ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის“ შეფასება 2021 წლის 4 ნოემბერს დისტანციურად კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების, კერძოდ Zoom-ის პროგრამის გამოყენებითგანხორციელდა.

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტები, წინასწარშემუშავებული და დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის შესატყვისად გაესაუბრნენ უნივერსიტეტის პერსონალს: უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ და მოწვეულპერსონალს, მომიჯნავე საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ბიბლიოთეკარსა და პოტენციურ დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა, ბიბლიოთეკარის დახმარებით ნახა, როგორმუშაობს უნიდის ელექტრონული ბიბლიოთეკა.

აკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში. ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული. დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრები დროულად შეფერხებების გარეშე გაიმართა. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურადშეეფასებინა საგანმანათლებლოპროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით

- **საგანმანათლებლოპროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

„ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამა, მეტწილად ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებითჩამოყალიბებულმოთხოვნებს და შესაბამისობაშია I, III და V სტანდარტთან, ხოლომეტწილშესაბამისობაშია II და IV სტანდარტთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-მ წარმოადგინა თავისი არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც დაეთანხმა ყველა მიღებულრეკომენდაციასა და რჩევას. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის წინაშე არ დამდგარა დასკვნის ტექსტის მოდიფიცირების საკითხი.

- **რეკომენდაციები**

| **2.2.** |
|---|

- გაიზარდოს ორი სავალდებულო კურსის -- „კოგნიტური ფსიქოლოგია“ და „სოციალური ფსიქოლოგია“ -- მოცულობა და პროგრამაში წარმოდგენილი იყოს, როგორც „კოგნიტური ფსიქოლოგია 1“ და „კოგნიტური ფსიქოლოგია 2“, „სოციალური ფსიქოლოგია 1“ და „ სოციალური ფსიქოლოგია 2“.

- სამი კურსი – ინკლუზიური განათლება, ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები და ნეიროფსიქოლოგიის საფუძვლები – გადატანილი იქნეს არჩევითი კურსების ჩამონათვალში.

**2.3.**

- გადაიხედოს და განახლდეს პროგრამაში შემავალ კურსებში მითითებული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა ისე, რომ არ ხდებოდეს წყაროების დუბლირება სხვადასხვა კურსის ფარგლებში.

- ზოგიერთ კურსში შეირჩეს თემატურად მეტად შესაბამისი, რელევანტური სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა (იხ. ქვემოთ „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში“ კურსთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია).

- „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“: (ა) შეიცვალოს წარმოდგენილი კურსის სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა და შინაარსობრივად მეტად მიერგოს ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდებს; (ბ) შესაბამისად შეიცვალოს კურსის დასახელება (მაგალითად „ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები“, ან რაიმე სხვა ალტერნატივა, რომელიც მართებულად ასახავს შინაარსს) და (გ) გაიზარდოს კურსის მოცულობა, რათა სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდეთ ამა თუ იმ მეთოდის პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება მიიღონ და ამ მეთოდის ინსტრუმენტული გამოყენების ბაზისური უნარ-ჩვევა გამოიმუშაონ.

- „პრაქტიკა“: სილაბუსში კვირების მიხედვით გაიწეროს ის ზოგადი ჩარჩო და საქმიანობების/აქტივობების თანმიმდევრობა, რომლის შესრულებაც მოუწევს სტუდენტს, მაგალითად რა დრო ეთმობა ობიექტზე ორიენტაციას/გაცნობას, სავარაუდო ამოცანების დასახვასა და გეგმის გაწერას, შესრულებასა და შესრულებული სამუშაოს გადამოწმების ეტაპებსა და პრეზენტაციებს.

**4.1.**

- გაიზარდოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული ფსიქოლოგიის მიმართულებით აკადემიური პერსონალის რაოდენობა;

- უზრუნველყოფილი იქნეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ოპტიმალური თანაფარდობა, რათა პროგრამის მდგრადობას არ შეექმნას საფრთხე მომავალში;

- უზრუნველყოფილი იქნეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის იმგვარი გადანაწილება პროგრამაში შეთავაზებულ (სავალდებულო) კურსებზე, რომ სპეციალობის მიმართულებით სავალდებულო კურსები (რაც პირდაპირ გადის სწავლის შედეგებზე და მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე) უპირატესად აკადემიურ პერსონალს მიჰყავდეს და არა -- მოწვეულს;

- შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან, ერთი მხრივ, პროგრამაში შეთავაზებული კურსების შინაარსი და, მეორე მხრივ, იმ აკადემიური/მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია/ გამოცდილება, რომლის პასუხისმგებლობაც იქნება ამა თუ იმ კონკრეტული კურსის წაყვანა;

**4.3.**

- ონლაინ სწავლებისთვის ისეთი პლატფორმის გამოყენება, რომელიც სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებას, უწყვეტობას უზრუნველყოფს.

**4.4**

- ბიუჯეტში ალწერილი შემოსავლის ნაწილში გათვალისწინებული იქნეს შემოსავლის დამატებითი პუნქტები, რაც მნიშვნელოვანია ახალი პროგრამის მდგრადობისთვის, პერსონალისა და სტუდენტების განვითარების ხელშეწყობისთვის.

**რჩევები**

**4.1.**

- პროგრამის თანახელმძღვანელი, სულ მცირე, უპირატესად აკადემიური პერსონალი (მოწვეული არა) იყოს.

**5.1.**

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არ შემოიფარგლოს მხოლოდ ფორმალური ინსტრუმენტების არსებობით და რეალურად ჩაერთოს პროგრამის განვითარებაში, ასევე, გაზარდოს ხელშეწყობა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მიმართ

**5.3.**

- ანალოგიური პროგრამების შედარებისა და გამოცდილების გაზიარების პროცესი იყოს მეტად ფორმალიზებული და მოიცავდეს ინფორმაციას ბენჩმარკის ინდიკატორების და ანალოგიურ პროგრამებთან შესაბამისობის სიღრმისეულ ანალიზს.

**პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან**

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის განხორციელებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| |
|---|
| ### 1.1. პროგრამის მიზნები |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უსდ-ს მიერ წარმოდგენილი ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია.<br>პროგრამის მიზანია განათლების პირველი საფეხურის და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ფილოლოგიის ბაკალავრის მომზადება, რომლის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე. ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანი და პროგრამის სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან. პროგრამის მიზანია კვალიფიციური, თეორიული ცოდნით, პრაქტიკული უნარებით და პროფესიული ღირებულებებით აღჭურვილი, პროფესიულ განვითარებასა და წინსვლაზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.<br>ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შეთავაზებული კურსები მრავალფეროვანია და ფოკუსირებულია ფილოლოგიის მეცნიერებაში მულტიდისციპლინარული ცოდნის გამოყენებაზე. მისი მიზნებია (1) მოამზადოს დასაქმების ბაზრის შესაბამისი, მაღალკვალიფიციური, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის სპეციალისტი, რომელსაც (2) მისცემს ფართო ცოდნას ფილოლოგიის სფეროში დარგობრივი ტენდენციების, მიმდინარეობებისა და თანამედროვე კონცეფციების შესახებ; (3) განუვითარებს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარსა და ჩამოუყალიბოს პროფესიული საქმიანობისათვის შესაბამისი დონის პასუხისმგებლობას ეთიკური პრინციპების დაცვით ასევე, (4) გამოუმუშავებს განათლების პირველ საფეხურისათვის შესაბამის კვლევით და განზოგადებულ სხვას უნარებს, რითაც შეუქმნის მყარ საფუძველს ზედა საფეხურის პროგრამების დასაძლევად<br>უსდ-ის მიერ წარმოდგენილი შრომის ბაზრის კვლევა შეესაბამება ფილოლოგთა შრომის ბაზრის თანამედროვე ტენდენციებსა და მოთხოვნებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;<br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• შრომის ბაზრის ანალიზი;<br>• კოლეგიალური შეფასება;<br>• ვებ გვერდი www. https://freeacademy.edu.ge/<br>• უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** |

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უსდს მიერ წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, რეალისტური და აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულისათვის მყარი საფუძვლის შექმნას.

უსდს მიერ წარმოდგენილ საბაკალავრო პროგრამას შვიდი სწავლის შედეგი აქვს, რომლებიც ქვეშედეგებად არის დეტალურად ჩაშლილი. ეს შედეგებია: 1) იაზრებს ფსიქოლოგიის განვითარების ისტორიულ კანონზომიერებებს და ახდენს მისი, როგორც დარგის განვითარების პერსპექტიული ტენდენციების გაცნობიერებას; (2) იდენტიფიცირებს ფსიქოლოგიის მეცნიერების ძირითად მიმართულებებს და ახდენს მათ კლასიფიცირებას, განიხილავს პიროვნების განვითარების ძირითად მახასიათებლებს, ფსიქიკურ ფუნქციებს, განვითარებაზე ზემოქმედ ფაქტორებს და ცნობიერს, არაცნობიერს, ქცევისა და პიროვნების კატეგორიებს; (3) იდენტიფიცირებს პიროვნების განვითარების ძირითად მახასიათებლებს, ფსიქო - სოციალური პროცესებისა და სხვადასხვა ფსიქიკური პათოლოგიის თავისებურებებს, ანალიზის საფუძველზე ახდენს პრობლემების ამოცნობას და განსაზღვრული მითითებებით ახორციელებს შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას; (4) ერკვევა ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების სხვადასხვა თეორიული და პრაქტიკული მიდგომის საკვანძო პრობლემატიკაში; (5) ახდენს ფსიქოლოგიის სხვადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის ინკორპორირებას; (6) შეუძლია მონაცემების შეგროვება და შესაბამისი სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით დამუშავება, წერილობითი ნაშრომის/ანგარიშის მომზადება აკადემიური სტანდარტების დაცვით და ფსიქოლოგიური ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობითი ფორმით დაინტერესებული პირებისათვის მისი გადაცემა; (7) დამოუკიდებლად განსაზღვრავს მიღებული ცოდნის გაღრმავების/მუდმივად განახლების საჭიროებებს, აყალიბებს მოსაზრებებს სფეროში არსებული პრობლემებისა და მათ გადაჭრის გზების შესახებ, იღებს პასუხისმგებლობას პროფესიული საქმიანობის პროცესში.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში აღწერილია ყველა ის თეორიული ცოდნა, უნარი თუ პასუხისმგებლობა, რომელსაც პროგრამა აძლევს კურსდამთავრებულს. როგორც პროგრამის აღწერასა და თვითშეფასების ანგარიშში, ისე თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია კონკრეტული სწავლის შედეგები, რომელთა მიღწევასაც ისახავს მოცემული კურსი.

ვიზიტმა და დოკუმენტების გაცნობამ აჩვენა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები, ერთი მხრივ, შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობას; არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური და შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

პროგრამას წარმოდგენილი აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები (პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით). სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი ინფორმაცია შესაბამისობაშია სწავლის შედეგების მიღწევის ანალიზთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - დანართი N1;
- პროგრამის კატალოგი - www.freeacademy.edu.ge;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა - დანართი N1;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა დანართი N1;

| |
|---|
| • პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზის რუკა დანართი N1;<br>• შრომის ბაზრის ანალიზი - დანართი N7;<br>• სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი/წესი - ხარისხის მართვის მექანიზმები და შეფასების წესი - დანართი N4;<br>• ვებ - გვერდი - www.freeacademy.edu.ge.<br>• პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| **სტანდარტი** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 1) სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| |
|---|
| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაიშვებიან სრული ზოგადი განათლების მქონე პირები, რომლებიც (ა) აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს, რომელშიც უცხო ენად მოითხოვება ინგლისური ენის ჩაბარება ან (ბ) პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით<br>მოქმედი პროგრამების შესახებ ინფორმაციის გაზიარების მიზნით აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე, რომელიც დაინტერესებულ პირს სრულ ინფორმაციას აწვდის არსებული პროგრამების, მათი ღირებულების, |

| |
|---|
| დასაქმების და სწავლის გაგრძელების პერსპექტივების, უნდის მოცემული სკოლის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ და ა.შ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;<br>• თავისუფალი აკადემიის ვებგვერდი;<br>• პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიური და მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, დაინტერესებულ მხარეებთან ჯგუფური ინტერვიუები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უმაღლესი დაწესებულების მიერ მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობა და ანალიზი**

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია თბილისის თავისუფალი აკადემიის პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად და შეესაბამება თავისუფალი აკადემიის სტანდარტსა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

წარმოდგენილი პროგრამა, მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინების პირობებში (იხ. 2.2 □□ 2.3, რეკომენდაციების ნაწილი), ფაქტობრივად იძლევა ფსიქოლოგიის ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადების შესაძლებლობას, რომელიც ფლობს თანამედროვე ცოდნას და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამის პრაქტიკულ უნარებს. აღნიშნული მახასიათებლით პროგრამის სწავლის შედეგები, ფაქტობრივად შესაბამისობაშია მოდის უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. შესაბამისად საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს, 8 სემესტრს.

240 კრედიტიანი პროგრამა აგებულია შემდეგი კომპონენტებით: (ა) საუნივერსიტეტო სავალდებულო თავისუფალი სასწავლო კურსები (50 კრედიტი), (ბ) ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (130 კრედიტი, მათ შორის, 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომისა და 10 კრედიტი პროფესიული პრაქტიკისთვის), (გ) ძირითადი სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები (30-60 კრედიტი) და (დ) თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები (0-30 კრედიტი).

პროგრამაში შემავალი სავალდებულო და არჩევითი კურსების შინაარსი და თანმიმდევრობა ლოგიკურად არის დალაგებული. უფრო კონკრეტულად სტუდენტს ჯერ შეეთავაზება ის საბაზისო კურსები, რომლებიც ფუნდამენტურ ცოდნას აძლევენ მას ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულების შესახებ, მაგალითად ფსიქოლოგიის საფუძვლები, კოგნიტური ფსიქოლოგია, პიროვნების ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია და ექსპერიმენტული ფსიქოლოგია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სავალდებულო კურსების ერთობლიობა, ფაქტობრივად გადის პროგრამაში დეკლარირებულ სწავლის

შედეგებზე, თუმცა მიზანშეწონილია გარკვეული ცვლილებების განხორციელება, მისი ოპტიმიზაციის მიზნით რამაც შექმნა ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველი (იხ. ქვესტანდარტი **2.3**).

შედარებით სპეციფიკური, ჩაღრმავებული და მეტად ვიწრო საკითხებზე ფოკუსირებული კურსები (მაგალითად რელიგიის ფსიქოლოგია, იურიდიული ფსიქოლოგიის საფუძვლები, კროს-კულტურული ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიური კონსულტირება), უპირატესად არჩევითი კურსების სახით არის წარმოდგენილი და სტუდენტს საკუთარი ინტერესების მიხედვით ცოდნის გაღრმავებისა და კონკრეტული პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავების საშუალებას აძლევს. აუცილებლად აღსანიშნავია შემოთავაზებულ პროგრამაში სპეციალობის არჩევითი კურსების დიდი მრავალფეროვნება და ფართო სპექტრი.

გარდა ამისა, პროგრამაში წარმოდგენილია კვლევითი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული ბაზისური კურსები, როგორებიცაა კვლევის მეთოდები, სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებში, მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება SPSS-ით ექსპერიმენტული ფსიქოლოგია და საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც აჯამებს სტუდენტის მიერ წინა სემესტრებში დაგროვილ თეორიულ ცოდნას, კვლევის პრაქტიკულ უნარებს. რაც შეეხება საბაკალავრო ნაშრომს, რომელსაც სავალდებულო ხასიათი აქვს, თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ ის „ორიენტირებულია თეორიული ნაშრომის შესრულებისთვის საჭირო უნარების განვითარებაზე“. აღნიშნულ ფრაზაში ყურადღება მიიპყრო ფრაზამ „თეორიული ნაშრომი“, რაც იმთავითვე მოიაზრებს ე. წ. სამაგიდო კვლევის შესრულებას და არ საჭიროებს ემპირიული მონაცემების შეგროვებას, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუირებისას ნათელი გახდა, რომ საბაკალავრო ნაშრომის სწორედაც რომ ემპირიული კვლევის ჩატარებას (საველე სამუშაოების ჩათვლით) გულისხმობს და დოკუმენტაციაში ტექნიკური ხარვეზია გაპარული. შესაბამისად აღნიშნული ვითარება არ იქნა ასახული წარმოდგენილ დასკვნის რეკომენდაციებისა თუ რჩევების გრაფაში.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს დარგის უახლეს მიღწევებს. კერძოდ თითოეული კურსის ფარგლებში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა დარგში არსებულ ახალ კვლევებსა და წყაროებს ეყრდნობა.

წინაპირობების არსებობა წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის პროგრამის აღწერიდან, რომელიც გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. თითოეული კურსისთვის მოთხოვნილი წინაპირობები მითითებულია შესაბამისი კურსის სილაბუსში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- უსდ-ის ვებგვერდი;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია:

- პროგრამაში, ფაქტობრივად წარმოდგენილია ყველა აუცილებელი სავალდებულო კურსი, რომელიც ფსიქოლოგის ბაკალავრის კვალიფიკაციისთვის არის საჭირო, თუმცა ისეთი საფუძვლადმდებარე კურსები, როგორებიცაა „კოგნიტური ფსიქოლოგია“ და „განვითარების ფსიქოლოგია“ ერთსემესტრიანი (5 კრედიტი) საგნის სახით არის მოცემული მაშინ, როცა ეკვივალენტურად მნიშვნელოვანი კურსები -- „პიროვნების ფსიქოლოგია“ და „განვითარების ფსიქოლოგია“ -- ორსემესტრიანი სასწავლო კურსებია. ასევე, აღნიშნული ორი კურსი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიის თანამედროვე განვითარების კონტექსტში მაშინ, როდესაც კოგნიტური ნეირომეცნიერება უფრო და უფრო მეტად იკიდებს ფეხს ფსიქოლოგიაში და, ამასთანავე, ადამიანის განვითარების კონტექსტში განიხილება, ფაქტობრივად ნებისმიერი ქცევა, კლინიკური დარღვევების სფეროდან დაწყებული და ორგანიზაციული ქცევით დამთავრებული.

  ყოველივე თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია გაიზარდოს ორი სავალდებულო კურსის -- „კოგნიტური ფსიქოლოგია“ და „სოციალური ფსიქოლოგია“ -- მოცულობა და პროგრამაში წარმოდგენილი იყოს, როგორც

„კოგნიტური ფსიქოლოგია 1“ და „კოგნიტური ფსიქოლოგია 2“, „სოციალური ფსიქოლოგია 1“ და „ სოციალური ფსიქოლოგია 2“.

- პროგრამის სავალდებულო კურსების ჩამონათვალში არის წარმოდგენილი ისეთი კურსები, როგორებიცაა ინკლუზიური განათლება, ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები და ნეიროფსიქოლოგიის საფუძვლები, რომლებიც ვიწრო სპეციალიზაციის, ჩაღრმავებულ კურსებს წარმოადგენენ და არასავალდებულო ხასიათს ატარებენ ფსიქოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციისთვის. ამასთან, აღნიშნული კურსები ისეთივე ვიწროსპეციფიკის და დონის კურსებია, როგორიცაა, ვთქვათ არჩევითი კურსების ჩამონათვალში შეტანილი ბავშვის განვითარების დარღვევები, მომხმარებლის ფსიქოლოგია ან პოლიტიკური ფსიქოლოგია. სოციალური ფსიქოლოგიით დაინტერესებული სტუდენტისთვის სრულიად არასაჭიროა, მაგალითად ნეიროფსიქოლოგიის სავალდებულო კურსის გავლა, ან კლინიკური ფსიქოლოგიით დაინტერესებული სტუდენტისთვის ინკლუზიური განათლების სავალდებულო კურსის შეთავაზება.

  აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია აღნიშნული სამი კურსი – ინკლუზიური განათლება, ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები და ნეიროფსიქოლოგიის საფუძვლები – გადატანილი იქნეს არჩევითი კურსების ჩამონათვალში.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, ფაქტობრივად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებსა და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან და შესაბამის საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად არსებობს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც დეტალურად აღწერს, პროგრამის რომელ სწავლის შედეგ(ებ)ზე გადის ესა თუ ის ცალკეული კურსი.

თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განსაზღვრულია კრედიტებით საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრისას გათვალისწინებულია კურსის შინაარსი, კურსის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებების მოცულობა და შინაარსი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები დამაკმაყოფილებლად აფასებენ კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს.

მიუხედავად აღნიშნულისა, გამოვლინდა რამდენიმე გარემოება (იხ. ქვემოთ რეკომენდაციების ნაწილი, რომელმაც ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველი შექმნა.

წარმოდგენილ პროგრამაში სავალდებულო კურსის სახით მოცემულია „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“, რომელიც სასწავლო გეგმის მიხედვით VI სემესტრში შეეთავაზება სტუდენტებს, თუმცა პროგრამაში არის ზოგიერთი კურსი, მაგალითად „პერსონალის შერჩევა“ (არჩევითი), რომელიც IV სემესტრისთვისაა განკუთვნილი და „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“ აქვს წინაპირობად რაც, ცხადია, არათანმიმდევრულია. აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუირებისას თავად კურსის წამყვანმა ისაუბრა ამ გარემოებაზე და აღნიშნა, რომ ეს იყო ტექნიკური შეცდომა, რომელიც მალევე გასწორდა, თუმცა დოკუმენტაცია უკვე გაგზავნილი იყო განათლების ხარისხის განვითარების ცენტრში. ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფს წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით უწევს დასკვნის მომზადება, აღნიშნული მაინც არის ასახული ქვემოთ მოცემულ რეკომენდაციებში.

გარდა აღნიშნული საკითხისა, წარმოდგენილი მასალების შესწავლისა და ვიზიტის მსვლელობისას გამოიკვეთა ცალკეულ სავალდებულო კურსებთან დაკავშირებული საკითხები, რომლებმაც ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველი შექმნა (იხ. ქვემოთ რეკომენდაციების ნაწილი).

კურსის სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სავალდებულო და დამხმარე რესურსები და ლიტერატურა. კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის საშუალებით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონული ბაზების ხელმისაწვდომობას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ ორ სასწავლო კურსში ერთი და იგივე სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა არის მითითებული. ვინაიდან ეს ვითარება მხოლოდ ერთი სილაბუსის შემთხვევაში დაფიქსირდა, სადაც მეორე სავალდებულო წყაროც მითითებულია, აღნიშნული ქვემოთ რეკომენდაციის სახით აისახა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- ბიბლიოთეკის ონლაინ დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და ხელმძღვანელებთან ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

**2. სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა**

- გადაიხედოს და განახლდეს პროგრამაში შემავალ კურსებში მითითებული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა ისე, რომ არ ხდებოდეს წყაროების დუბლირება სხვადასხვა კურსის ფარგლებში.
- ზოგიერთ კურსში შეირჩეს თემატურად მეტად შესაბამისი, რელევანტური სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა (იხ. ქვემოთ „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში“ კურსთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია).

**3. ცალკეული კურსების შინაარსი**

- **კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში.** წარმოდგენილი კურსი სავალდებულოა და კვლევითი უნარების შემუშავების მიმართულებით ბაზისურ კურსს წარმოადგენს. ფაქტობრივად ეს არის ერთადერთი კურსი, რომელშიც სტუდენტები კვლევის მეთოდებს ეცნობიან და ბაზისურ დონეზე უნდა სწავლობდნენ მათ გამოყენებას (პროგრამაში არ არის შეთავაზებული ამა თუ იმ მეთოდის ჩაღრმავებული არჩევითი კურსი). თუმცა სილაბუსის გაცნობის შემდეგ, გაირკვა შემდეგი: (ა) კურსი ხუთკრედიტიანია და მოიცავს მთელ რიგი კვლევის მეთოდების ჩამონათვალს/განხილვას, რომელიც მეტ-ნაკლები სიხშირით გამოიყენება ზოგადად სოციალურ მეცნიერებებში (მაგალითად დაკვირვება, ინტერვიუ დღიური). ასევე, გარკვეული დრო ეთმობა მონაცემების დამუშავების საკითხს (თემა N14) და ექსპერიმენტს (თემა N8). თითო თემას თითო კვირა ეთმობა, რაც პრაქტიკულად მხოლოდ მეთოდის თეორიული მიმოხილვის საშუალებას თუ მისცემს სტუდენტებს.

(ბ) კურსში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის მიხედვით შინაარსი, რომელიც შეეთავაზებათ სტუდენტებს, მთლიანად სოციალური მეცნიერებების, კერძოდ სოციოლოგიის კვლევის მეთოდებს შეესაბამება (მითითებული სამი სახელმძღვანელოს ავტორები, რომელთაგან ერთი თარგმანია და ორი -- ორიგინალური ქართული სახელმძღვანელო, სოციოლოგები არიან), რაც ისეთ აქცენტების გაკეთებისკენ უბიძგებს სტუდენტებს, რომელიც სოციოლოგიისთვის უფრო რელევანტურია, ვიდრე ფსიქოლოგიისთვის. ამისავე დასტურს წარმოადგენს კურსის დასახელებაც.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია: (ა) შეიცვალოს წარმოდგენილი კურსის სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა და შინაარსობრივად მეტად მოერგოს ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდებს; (ბ) შესაბამისად შეიცვალოს კურსის დასახელება (მაგალითად „ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები“, ან რაიმე სხვა ალტერნატივა, რომელიც მართებულად ასახავს შინაარსს) და (გ) გაიზარდოს კურსის მოცულობა, რათა სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდეთ ამა თუ იმ მეთოდის პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება მიიღონ და ამ მეთოდის ინსტრუმენტული გამოყენების ბაზისური უნარ-ჩვევა გამოიმუშაონ.

- **პრაქტიკის სილაბუსი.** პროგრამაში სტუდენტებს შეეთავაზებათ 10 კრედიტიანი პრაქტიკის კურსი, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი პრაქტიკის წარმოების პირობები, ხელმძღვანელი, პროცედურები, შეფასების კრიტერიუმები და ფორმები, შესასრულებელი ზოგადი აქტივობები და წარმოდგენილია პრაქტიკის დღიურისა და სხვა შესავსები ფორმები. ვინაიდან პრაქტიკის ობიექტები განსხვავებულია თავისი სპეციფიკით ერთმანეთისგან (სკოლა, კლინიკა, კონსულტირების ცენტრი), ცხადია, შეუძლებელია კონკრეტული შესასრულებელი აქტივობების კვირების მიხედვით გაწერა, რადგან საქმიანობის შინაარსი პრინციპულად განსხვავებული იქნება.
- თუმცა რეკომენდებულია კვირების მიხედვით სილაბუსში გაიწეროს ის ზოგადი ჩარჩო და საქმიანობების/აქტივობების თანმიმდევრობა, რომლის შესრულებაც მოუწევს სტუდენტს, მაგალითად რა დრო ეთმობა ობიექტზე ორიენტაციას/გაცნობას, სავარაუდო ამოცანების დასახვასა და გეგმის გაწერას, შესრულებასა და შესრულებული სამუშაოს გადამოწმების ეტაპებსა და პრეზენტაციებს.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

წარმოდგენილი პროგრამა, სწავლის შედეგების შესაბამისად უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას. კრედიტებით გაანგარიშებისას გათვალისწინებულია კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკა, მოცულობა და მის შესასწავლად საჭირო რეალური დრო. თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფილია შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა. თითოეული სასწავლო კურსის სწავლებისას გამოიყენება სწავლისა თუ სწავლების შესაბამისი მეთოდები, რაც უშუალოდ სწავლის შედეგების მიღწევაზეა ორიენტირებული.

პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტის **კვლევითი უნარების** განვითარებას ისეთი კურსების ფარგლებში, როგორებიცაა კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებში, კვლევის მონაცემთა დამუშავება SPSS-ით, ექსპერიმენტული ფსიქოლოგია და საბაკალავრო ნაშრომი (10 კრედიტი). კონკრეტული კვლევის ფარგლებში თითოეულ სტუდენტს უწევს შესაბამისი კვლევის დაგეგმვა, მონაცემთა შეგროვება, დამუშავება, ანალიზი და ინტერპრეტაცია და კვლევითი ანგარიშის დაწერა შესაბამისი კურსების სწავლების სემესტრსა და სწავლების მერვე სემესტრში, როდესაც სტუდენტები მუშაობენ საბაკალავრო ნაშრომზე.

**პრაქტიკის კომპონენტი** გათვალისწინებულია პროგრამაში შემავალი ფართო სპექტრის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სახით მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრაქტიკის კურსი (10 კრედიტი), რომელიც ორიენტირებულია სწავლის პროცესში მოპოვებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაზე, გამომუშავებული უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებაზე. პრაქტიკა მიზნად ისახავს კონკრეტულ სამუშაო ადგილზე აკადემიურ გარემოში მიღებული ცოდნისა და უნარ- ჩვევების გაღრმავება/განმტკიცებას.

ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ჯერ არ ხორციელდება, მხოლოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის მსვლელობისას ჩატარებული ინტერვიუებზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი სწავლის შედეგების შესაბამისად არის ორგანიზებული/დაგეგმილი და სტუდენტებს კვალიფიციური აკადემიური/მოწვეული პერსონალი გაუწევს ხელმძღვანელობას. ასევე, დამსაქმებლებთან გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმები, ხოლო რაც შეეხება სტუდენტების რაოდენობას, ჯერჯერობით არ არის განსაზღვრული.

საბაკალავრო ნაშრომს სტუდენტი საკუთარი ინტერესებისა და პროგრამის პედაგოგების მიერ შეთავაზებული ქვეყნისთვის აქტუალური საკვლევი თემების შეჯერების საფუძველზე ირჩევს. ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს) სტუდენტი პედაგოგის საქმიანობის სფეროს საკუთარ კვლევის ინტერესთან შესაბამისობისა და საკუთარი ინტერესების მიხედვით ირჩევს.

ამასთან, აკადემია ხელს უწყობს სტუდენტებს ჩაერთონ კვლევით პროექტებში და ინსტიტუციისგან მიიღონ როგორც აკადემიური, ასევე ფინანსური მხარდაჭერა. აკადემია ყოველწლიურად აწყობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებს.

რაც შეეხება **ტრანსფერულ უნარებს,** პროგრამაში შემავალ პრაქტიკულ ყველა კურსს, საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით თავისი წვლილი შეაქვს მათ განვითარებაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამა და მასში შემავალი კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიის მიერ ორგანიზებული ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები;
- სამეცნიერო ნაშრომების კრებული - ივერონი;
- ახალგაზრდა ლიდერთა სკოლის ჟურნალი „მომავლის ლიდერი“;
- ვებ - გვერდი www.freeacademy.edu.ge.
- პროგრამის ხელმძღვანელებთან, განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

**☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერით მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში, მისი თავისებურებიდან გამომდინარე, მეტწილად სწავლების/სწავლის ის მეთოდები და აქტივობები გამოიყენება, რომლებიც განაპირობებენ ამ კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას, ხოლო მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდები, ძირითადად შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაგეგმილია ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, საამროვნო კითხვები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადიან. კონკრეტული სასწავლოკურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლოკურსის სილაბუსში. ამასთან, როგორც თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული და ინტერვიუების დროსაც დადასტურდა, კონკრეტული მეთოდების არჩევა დამოკიდებულია შესაბამისი კომპონენტითდასახულმიზნებსა და სწავლის შედეგებზე და მათი შერჩევა კურსის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის პრეროგატივაა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანამანათლებლოპროგრამა და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიურ და მოწვეულპერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესოპრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილადშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერით მიმოხილვა და ანალიზი**

ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსებით სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. შეფასების კრიტერიუმები/პროცედურები ითვალისწინებს შუალედურ წერით და/ან ზეპირ შეფასებებს (ვერბალური პრეზენტაცია, ესე, დისკუსია/დებატები და სხვა) 60 ქულის ფარგლებში და დასკვნითი გამოცდის

| |
|---|
| შეფასებას 40 ქულის ფარგლებში. შეფასების თითოეულ კომპონენტს დაწესებული აქვს მინიმალური ზღვარი, სასწავლო კურსის სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, თუმცა ეს კომპეტენციის ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს: 20 ქულას პრაქტიკული მეცადინეობების/აქტივობების 40-დან და 11 ქულას შუალედური გამოცდის 20 ქულიდან.<br>დასკვნითი გამოცდის ფორმები სასწავლო კურსების მიხედვით არის მრავალფეროვანი (წერითი, ტესტური, კომბინირებული და სხვა).<br>„უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების თანახმად სტუდენტის შეფასება მოიცავს უარყოფითი შეფასების ორ სახეს:<br>ა. ვერჩაბარა - (FX) - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რომელსაც სტუდენტს ეძლევა დამატებითგამოცდაზე ერთხელგასვლის უფლება<br>ბ. ჩაიჭრა - (F) - მაქსიმალური შეფასების 40%, რომელსაც სტუდენტს უწევს კურსის ახლიდან შესწავლა.<br>დასკვნითი გამოცდის (40 ქულა) მინიმალურსავალდებულო კომპეტენციის ზღვარია 20 ქულა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• საგანმანათლებლოპროგრამა და მასში შემავალი კურსების სილაბუსები;<br>• საგამოცდო ცენტრის დებულება;<br>• შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტი;<br>• პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურპერსონალთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესოპრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | ✓ | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისოპროექტებში.

### 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობა და ანალიზი**

თბილისის თავისუფალი აკადემიის წესდებით სტუდენტის სტატუსი განისაზღვრება დადგენილი წესით პირის აკადემიაში ჩარიცხვის მომენტიდან და მოქმედებს განსაზღვრულ შემთხვევებში, აკადემიის ადმინისტრაციის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე სამართლებრივი ურთიერთობების შეწყვეტამდე.

თბილისის თავისუფალი აკადემიის „ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი მიიღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე სათანადო ინფორმაციას. ჩარიცხვის შემდეგ სტუდენტის ინფორმირებაზე იზრუნავს როგორც ადმინისტრაცია, ასევე პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

აკადემიაში ფუნქციონირებს სტუდენტების მხარდაჭერის სხვადასხვა ადმინისტრაციული ცენტრი. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დახმარებისა და კარიერული განვითარების ცენტრის მიზანია სტუდენტების/კურსდამთავრებულების კარიერული ზრდის ხელშეწყობა, დასაქმებისთვის აუცილებელი ზოგადი უნარჩვევების განვითარება და სხვა. აკადემიაში ასევე ფუნქციონირებს ახალგაზრდა ლიდერთა სკოლა.

მომიჯნავე სპეციალობის სტუდენტებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ინფორმირებულები არიან ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ.

აკადემიაში დანერგილია „სასწავლო პროცესის მართვის სისტემის“ ელექტრონული პროგრამა, სადაც სტუდენტს საშუალება აქვს თვალყური ადევნოს შეფასებებს, ასევე ინფორმაცია მიიღოს სასწავლო და საგამოცდო ცხრილებისა და მიმდინარე ღონისძიებების შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თბილისის თავისუფალი აკადემიის დებულება;
- ბიზნესის ადმინისტრირებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დებულება;
- აკადემიის ოფიციალური ვებგვერდი freeacademy.edu.ge;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა;
- სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობა და ანალიზი

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
|---|
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| შეფასება<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | ✓ | | | |

## 2) სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1. ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უდის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

თავისუფალი აკადემიის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფაქტობრივად შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და, ასევე, უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულ წესებს.

წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 38 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათ შორის, 23 აკადემიური პერსონალი: 3 პროფესორი (1 აფილირებული, 2 ფსიქოლოგიის მიმართულებით), 12 ასოცირებული პროფესორი (5 აფილირებული, 2 ფსიქოლოგიის მიმართულებით), 3 ასისტენტ-პროფესორი (არც ერთი აფილირებული და არც ერთი

ფსიქოლოგიის მიმართულებით), 4 ასისტენტი (ორივე დოქტორანტი, მათ შორის, სამი ფსიქოლოგიის მიმართულებით) და 15 მოწვეული ლექტორი (მათ შორის, 10 ფსიქოლოგიის მიმართულებით 2 დოქტორი, 4 დოქტორანტი და 4 მაგისტრი).

ამრიგად ფსიქოლოგიის მიმართულებითმოწვეული პერსონალის რაოდენობა (10) აღემატება უნდის აკადემიური პერსონალის რაოდენობას (7), რაც მომავალში პროგრამის მდგრადობის შესახებ კითხვას ბადებს. ასევე, პროგრამის მდგრადობის შესახებ ფიქრის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ პროგრამის სავალდებულოკურსების ჩამონათვალიდან ექვსი კურსი მოწვეულმა ლექტორმა უნდა წაიყვანოს და ეს ისეთ ბაზისური კურსებია, როგორებიცაა ფსიქოლოგიის საფუძვლები 1 და 2, განვითარების ფსიქოლოგია და ექსპერიმენტული ფსიქოლოგია. აღნიშნულმა შექმნა ქვემოთ მოცემული რეკომენდაციის საფუძველი.

გარდა ამისა, წარმოდგენილპროგრამაში შემავალი კურსებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების შესწავლამ აჩვენა, რომ ზოგიერთ კურსის შინაარსი და მისი დეკლარირებული წამყვანის კვალიფიკაცია ნაკლებადარის ერთმანეთთან შესაბამისობაში. ასეთ კურსების მაგალითადშეიძლება დასახელდეს (ა) კვლევის მეთოდები სოციალურ ფსიქოლოგიაში, რომელიც, სილაბუსის მიხედვით უნდა წაიყვანოს ეკონომიკის დოქტორმა და ფსიქოლოგიის მიმართულებითდოქტორანტმა (ამ უკანასკნელმა აღნიშნა, რომ კურსს დამოუკიდებლადგაუძღვება), (ბ) სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებში და კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, ასევე, ეკონომიკის დოქტორის სახელთან არის დაკავშირებული, (გ) განვითარების ფსიქოლოგიის კურსს კი სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრი, გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის დოქტორანტი უნდა გაუძღვეს. აღნიშნული გახდა ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციის საფუძველი.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კომპეტენცია დასტურდება მიღებული განათლებით, პედაგოგიური გამოცდილებით გამოქვეყნებული შრომებით ასევე საერთაშორისო ტრენინგებსა და სემინარებში მონაწილეობით როგორც უნდის წარმომადგენლებთან ინტერვიუებისას და დოკუმენტაციის შესწავლთგამოიკვეთა, აკადემიურპერსონალს, უმეტესწილადგააჩნია ან შესაბამის სფეროში დოქტორის აკადემიური ხარისხი, ან მაგისტრის აკადემიური ხარისხი და შესაბამის დარგში რამდენიმეწლიანი პრაქტიკული გამოცდილება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასისტენტის აკადემიური პოზიცია უკავია პროგრამის ორ განმახორციელებელს, რომელთაც არაქვთდოქტორის აკადემიური ხარისხი (უდასტურდებათმაგისტრის ხარისხი და დოქტორანტის მიმდინარე სტატუსი).

უნივერსიტეტში მოქმედი წესების თანახმად აკადემიური პერსონალის დატვირთვაში, გარდა სასწავლო პროცესში მონაწილეობისა, განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევითსაქმიანობაში მონაწილეობის ვალდებულება, რაც აძლიერებს პერსონალის ჩართულობას უნივერსიტეტის აკადემიურდა არააკადემიურსაქმიანობაში.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია არეგულირებს პროგრამის სათანადო რაოდენობის პერსონალით უზრუნველყოფის საკითხს. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დაფიქსირებული მოცემულობითარსებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა (აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა) ბადებს კითხვებს პროგრამის მდგრადობის თაობაზე, რაც ქვემოთმოცემული რეკომენდაციის საფუძველს წარმოადგენს.

რაც შეეხება პროგრამის ხელმძღვანელებს, მათ ფაქტობრივად გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა, რაც დასტურდება შესაბამისი განათლებით პრაქტიკული გამოცდილებითა და სამეცნიერო ნაშრომებით თანდართული დოკუმენტაცია ადასტურებს პროგრამის ხელმძღვანელების კვალიფიკაციას და უნარს, უხელმძღვანელონ ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-განვითარებისა და განხორციელების პროცესს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს იმის შესახებ, რომ პროგრამის ერთ-ერთი თანახელმძღვანელი ამჟამადარის (ა) მაგისტრის ხარისხის მქონე და მიმდინარედარის დოქტორანტი და (ბ) მოწვეული პერსონალი. აღნიშნული ქვემოთ მოცემული რეკომენდაციის წინაპირობადიქცა.

აღსანიშნავია, რომ მოიკზნავე პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით რაც წარმოდგენილი პროგრამის შემთხვევაშიც უზრუნველყოფილი იქნება.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ადმინისტრაციული პერსონალის აქტიური მონაწილეობა სასწავლო პროგრამის განხორციელების პროცესში. მათი ფუნქციები და მოვალეობები დეტალურადაა გაწერილი კავკასიის უნივერსიტეტის დებულებაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო აღწერილობები თავისუფალი აკადემიის დებულებაში;

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამაში ჩართული კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია:

- გაიზარდოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული ფაკულტეტის მიმართულებით აკადემიური პერსონალის რაოდენობა;
- უზრუნველყოფილი იქნეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ოპტიმალური თანაფარდობა, რათა პროგრამის მდგრადობას არ შეექმნას საფრთხე მომავალში;
- უზრუნველყოფილი იქნეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის იმგვარი გადანაწილება პროგრამაში შეთავაზებულ (სავალდებულო) კურსებზე, რომ სპეციალობის მიმართულებით სავალდებულო კურსები (რაც პირდაპირ გადის სწავლის შედეგებზე და მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე) უძღვის აკადემიური პერსონალი მიჰყავდეს და არა -- მოწვეულს;
- შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან, ერთი მხრივ, პროგრამაში შეთავაზებული კურსების შინაარსი და, მეორე მხრივ, იმ აკადემიური/მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია/ გამოცდილება, რომელსაც პასუხისმგებლობაც იქნება ამა თუ იმ კონკრეტული კურსის წაყვანა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის სასურველია, რომ:

- პროგრამის თანახელმძღვანელი, სულ მცირე, უძღვის აკადემიური პერსონალი (თუ აფილირებული არა) იყოს.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- ➢ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილი მიმოხილვა და ანალიზი**

თავისუფალი აკადემიის ხარისხის მართვის სამსახური რეგულარულად აფასებს თავისი აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და კვლევით საქმიანობას. ამისათვის იყენებს პირდაპირ შეფასებას, ლექციებზე დასწრებასა და სასწავლო/კვლევითი საქმიანობის მიმდინარეობის მონიტორინგს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალი წინასწარ, ყოველ სემესტრულად ეცნობება შეფასების კრიტერიუმების შესახებ და განემარტება მათი შინაარსი და საჭიროება; ასევე, აცნობს შეფასების შედეგებს (კონფიდენციალობის დაცვის პირობებში). შეფასება შეიძლება შეეხოს მთელ პერსონალს ან შერჩევით განხორციელდეს. ამასთან, ყოველ სემესტრში ფასდება პროგრამა/პროგრამების ფარგლებში სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები, ხდება სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა სამუშაო

გეგმის მიხედვით ამასთან, ხარისხის მართვის სამსახური ვალდებულია, წინაწარ შეატყობინოს პროფესორს ან მოწვეულ ლექტორს დაგეგმილი შეფასების/ლექციაზე დასწრების შესახებ.

შეფასების შემდეგ ხარისხის მართვის სამსახური წერს დასკვნას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც, გამოვლენილი ხარვეზების გამოვლენის მიზნით, ეცნობება შეფასებული პროგრამის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს, რათა მან არგუმენტირებული პასუხი მოამზადოს გამოვლენილი პრობლემების სავარაუდო მიზეზებისა და გამოსწორების მექანიზმების შესახებ.

გარდა ამისა, აკადემია მუდმივ რეჟიმში ზრუნავს პერსონალის კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობაზე, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე, აკადემიის პროფესორ - მასწავლებელთა ნაშრომების, მონოგრაფიების, სტატიების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა-დაბეჭდვაზე. ამ გარემოებაზე ხაზგასმით ისაუბრა ინტერვიუზე მოსულმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა. პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელისშემწყობი მატერიალური და ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია ბიუჯეტსა და სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში.

როგორც ინტერვიუების დროს არაერთხელ აღინიშნა, თბილისის თავისუფალი აკადემია რეგულარულად მუშაობს აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების მიმართულებით და ატარებს ახორციელებს ტრენინგ - კურსებს. ამის დასტურს წარმოადგენს, ერთი მხრივ, თვითანგარიშის კითხვარში წარმოდგენილი ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩატარებული ტრენინგების ჩამონათვალი და, მეორე მხრივ, გასაუბრებაზე მოწვეული აკადემიური პერსონალი.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს ადგილობრივ და საერთაშორისო საგრანტო პროექტების განხორციელებას, უზრუნველყოფს პრაქტიკული კურსების/ტრენინგების დაფინანსებას, პერსონალის ჩართვას საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებსა და ვორკშოპებში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისთვის წვდომას ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პერსონალის განვითარების ღონისძიებები;
- ხარისხის მართვის მექანიზმები და მათი შეფასების სისტემა;
- სტატისტიკური მაჩვენებლები პერსონალის შესახებ;
- საერთაშორისო კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი;
- ადგილობრივი თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 4.3. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურით და ტექნიკური აღჭურვილობით რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობა და ანალიზი**

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ვიზიტი ონლაინ რეჟიმში წარიმართა და, შესაბამისად მატერიალურ რესურსებზე მსჯელობა უსდის კამპუსში ვირტუალური ტურის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და უსდის წარმომადგენლებთან ინტერვიუების საფუძველზე გახდა შესაძლებელი.

**საბიბლიოთეკო რესურსი**

თავისუფალი აკადემიის სტუდენტებისათვის, მათ შორის, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მომავალი სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.

აკადემიის ბიბლიოთეკაში არსებობს და დაცულია საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული წიგნადი ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის.

სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით EBSCO HOST, ScienceDirect, Scopus, Cambridge Journals Online, e-Duke Journals Scholarly Collection, BioONE Complete.

**მატერიალური რესურსი**

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საკუთრებაში მყოფი მატერიალური და ტექნიკური რესურსი. კერძოდ სტუდენტების და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მქონე კომპიუტერები და ინტერნეტი.

სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

უნივერსიტეტში არსებული ყველა რესურსი: საბიბლიოთეკო რესურსი, მატერიალური რესურსი და საინფორმაციო-საკომუნიკაციო რესურსი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.

ამასთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ უსდში სასწავლო პროცესი ხორციელდება (უფასო) Zoom-პლატფორმის გამოყენებით რის გამოც სალექციო დრო 40 წუთით შემოიფარგლება, რამაც ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციის საფუძველი შექმნა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის კამპუსში ვირტუალური ტური, ელექტრონული რესურსებისა და ბიბლიოთეკის ონლაინ-დათვალიერება;
- საერთაშორისო საბიბლიოთეკო და აკადემიური ბაზები;
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი;
- უსდის ვებგვერდი;
- სილაბუსებში დასახელებული ძირითადი ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდში არსებობა;
- თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები;
- ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან ინტერვიუსა და სისტემის დემონსტრირების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია:

- ონლაინ სწავლებისთვის ისეთი პლატფორმის გამოყენება, რომელიც სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებას, უწყვეტობას უზრუნველყოფს.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

აკადემიის მიერ წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომლის ძირითადი ფინანსური მახასიათებლებია: აკადემიური პერსონალის ანაზღაურება (აკადემიური და მოწვეული), მატერიალური წახალისება, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მივლინების ხარჯები, პროგრამის განმახორციელებელი და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე გაწეული ხარჯი, საბიბლიოთეკო ხარჯი.

აქვე აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მივლინების ხარჯები და პროგრამის განმახორციელებელი და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე გაწეული ხარჯი, რომლის გაწერის პოლიტიკა არ არის ბოლომდე გასაგები.

ასევე აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტი სრულიად დამოკიდებულია საფასურით გათვალისწინებულ შემოსავალზე, რაც უშუალოდ ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის ფუნქციას წარმოადგენს. ეს, თავის მხრივ, პროგრამის მდგრადობის მიმართულებით აჩენს კითხვებს. შესაბამისად აღნიშნულმა შექმნა ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციის საფუძველი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- უსდისა და პროგრამის ბიუჯეტი;
- უსდის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

ზემოთ მოყვანილიდან გამომდინარე, რეკომენდებულია:

- ბიუჯეტში აღწერილი შემოსავლის ნაწილში გათვალისწინებული იქნეს შემოსავლის დამატებითი ფინანსური მხარდამჭერის წყაროები, რაც მნიშვნელოვანია ახალი პროგრამის მდგრადობისთვის, პერსონალისა და სტუდენტების განვითარების ხელშეწყობისთვის.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |

## 3) სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად

### 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება ხარისხის მართვის სამსახურის დებულებით. სამსახურის ძირითადი ამოცანებია: საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, ადამიანური და მატერიალური რესურსების განვითარება, სტუდენტთა მომსახურების სერვისების ხელშეწყობა, ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაუმჯობესება და საზოგადოების განვითარებაში აკადემიის როლის გაზრდა. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ ხდის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მისიაა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილე პირები ჩართოს და მიაწოდოს ინფორმაცია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და მათი ეფექტიანობის შეფასების, ასევე, ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურის შესახებ, რათა თითოეულმა მათგანმა უზრუნველყოს საკუთარი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა და ხელი შეუწყოს აკადემიაში ხარისხის კულტურის დანერგვასა და განვითარებას.

მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარებისათვის უსდ იყენებს შემდეგ ინსტრუმენტებს: შიდა ხარისხის მექანიზმების შემუშავება, განხორციელება და განვითარება, პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება, სასწავლო რესურსების ხარისხის შემოწმება, სტუდენტებისა და პროფესორების სასწავლო და სამუშაო გარემოს შეფასება, სასწავლო პროცესის მონიტორინგი, დაინტერესებული მხარეების შიდა ხარისხის მექანიზმებში ჩართვა. აკადემიაში სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების მეშვეობით ფასდება როგორც სტუდენტის პროგრესია და სწავლის შედეგების მიღწევა, ასევე მხედველობაში მიიღება დაინტერესებული პირების - სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვა, სტუდენტთა თვითშეფასება და დასაქმების მაჩვენებელი. სამსახური ასევე უზრუნველყოფს ყოველწლიური სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასებას, რომელიც ხორციელდება თვითშეფასებისა და გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე, მიღებული უკუკავშირის შედეგები გამოიყენება პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავების პროცესში.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, მუშაობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართულნი იყვნენ როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი; ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე და ახდენს რეკომენდაციებისა და ცვლილებების ასახვას პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში.

„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” ციკლის ანუ PDCA პრინციპის შესაბამისად

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი შეფასების სისტემა
- პროფესორ- მასწავლებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის სპეციალური ფორმები
- პროფესორ- მასწავლებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები
- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის დებულება
- ხარისხის მართვის პოლიტიკა
- აკადემიის ვებ-გვერდი: https://freeacademy.edu.ge/
- ვიზიტის მსვლელობისას ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან და ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

პროგრამის გაუმჯობესების მიზნით სასურველია:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არ შემოიფარგლოს მხოლოდ ფორმალური ინსტრუმენტების არსებობით და რეალურად ჩაერთოს პროგრამის განვითარებაში, ასევე გაზარდოს ხელშეწყობა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მიმართ

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობა და ანალიზი**

უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს, პროგრამის დაინტერესებული მხარეების შეფასებას, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მიერ შეფასებას და პოტენციური დამსაქმებლების, პრაქტიკის ობიექტებისა და გარე შემფასებლების მიერ გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების ანალიზს.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული იქნა გარე კოლეგიალური შეფასება. ვინაიდან პროგრამა ახალია, განვითარების ციკლის უწყვეტობიდან გამომდინარე, აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება პროგრამის შემდგომი განვითარების პროცესში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის მართვის პოლიტიკა
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი შეფასების სისტემა

- გარე კოლეგიალური შეფასება
- აკადემიის ვებ-გვერდი: https://freeacademy.edu.ge/
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერით მიმოხილვა და ანალიზი**

უსდს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შესაბამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას სასწავლო პროცესის ხარისხის კონტროლის, ფაკულტეტზე სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროცესის ხარისხის შეფასებისა და აკადემიური პერსონალისა და პედაგოგების პროფესიული მომზადების შეფასების მიმართულებით შეფასებისა და განვითარების მიზნით ტარდება გამოკითხვები აკადემიურ, მოწვეულ ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ასევე, ყოველი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტები აფასებენ სალექციო კურსებს და ამ შეფასებებზე დაყრდნობით ხდება სასწავლო კურსისთვის დადგენილი მიზნობრივი ნიშნულის და ფაქტობრივი შედეგების ანალიზი. ამასთან, ხორციელდება პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება რაოდენობრივი მაჩვენებლისა და ხარისხობრივი მაჩვენებლის მიმართულებით ინდივიდუალური ანგარიშის წარდგენის ფორმით შესაბამისი მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები გამოიყენება დამატებითი საჭიროებების განსაზღვრისას.

უსდში არსებული პრაქტიკის შესაბამისად ხორციელდება ადგილობრივი ანალოგი პროგრამების შესწავლა და საგანმანათლებლო პროგრამის შედარება საერთაშორისო ანალოგიურ პროგრამებთან, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების და თანამედროვე სტანდარტებთან და მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, მოძიებულ იქნა რამდენიმე ადგილობრივი და საერთაშორისო უნივერსიტეტების გამოცდილება. შესწავლილ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კავკასიის უნივერსიტეტის, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, ლეტუვას საერთაშორისო უნივერსიტეტის და ვებსტერის ვენის კერძო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის პროგრამები. კერძოდ შედარდა პროგრამის ხანგრძლივობა, კურიკულუმი, კრედიტების რაოდენობა, სასწავლო კურსები და სწავლა - სწავლების მეთოდები.

წარმოდგენილი ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი ეფუძნება გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის სააგენტოს (QAA) 2019 წლის დოკუმენტს „ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლები. სასურველია ანალოგი პროგრამების შედარებისა და გამოცდილების გაზიარების პროცესის მეტად ფორმალიზება, რათა მოიცავდეს ბენჩმარკის ინდიკატორების შესაბამისობას და ანალიზს ზემოთხსენებულ პროგრამებთან მიმართებაში.

პროგრამა გარე კოლეგიალური შეფასების მიზნით გაზიარებულ იქნა ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესორებთან. წარმოდგენილი მხარდაჭერის წერილების შესაბამისად პროგრამის სტრუქტურა, თეორიული და პრაქტიკული კურსების ერთობლიობა, შედეგები და განმახორციელებელი ადამიანური რესურსი შეფასდა დადებითად და იმსახურა პოზიტიური გამოხმაურება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის მართვის პოლიტიკა
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი შეფასების სისტემა
- პროფესორ- მასწავლებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის სპეციალური ფორმები
- პროფესორ- მასწავლებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები
- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის დებულება
- გარე კოლეგიალური შეფასება
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დადარების ანალიზი
- აკადემიის ვებ-გვერდი: https://freeacademy.edu.ge/
- ადმინისტრაციასთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სასურველია:

- ანალოგი პროგრამების დადარებისა და გამოცდილების გაზიარების პროცესი იყოს მეტად ფორმალიზებული და მოიცავდეს ინფორმაციას ბენჩმარკის ინდიკატორების და ანალოგიურ პროგრამებთან შესაბამისობის სიღრმისეულ ანალიზს.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება თბილისის თავისუფალი აკადემია**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფილოლოგია

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 30

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | ✓ | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | ✓ | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ლილი ხეჩუაშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნანა ბურდული 

თამთა ცხოვრებაძე 

ლენა ბოგუჩავა 